# „მტაცებელი“ ჟურნალების და საეჭვო კონფერენციების არიდება

**დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი**

სამეცნიერო კვლევითი სამსახური,
ასოც. პროფ. ილია ნადარეიშვილი

Research Unit,
Assoc. Prof. Ilia Nadareishvili
2020

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

## შესავალი

ბოლო წლებში „მტაცებელი“ კონფერენციების თაღლითური ინდუსტრია მთელ მსოფლიოშია გააქტიურებული, რაც დიდ წილად უკავშირდება კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების ონლაინ რეჟიმში გადასვლას. გლობალურად ასეთი ბოროტი მიზნების მქონე „კონფერენციების“ რაოდენობა უკვე ნამდვილად აჭარბებს სამეცნიერო კონფერენციების რაოდენობას. ეს თაღლითური სქემები, აზარალებენ გლობალურ სამეცნიერო საზოგადოებას, ინსტიტუციებს, ინდივიდუალურ მეცნიერებს და რაც მთავარია  მეცნიერებას, სამეცნიერო პროგრესს და დარგების განვითარებას. ეს კატასტროფულად აისახება მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. დაზარალებულებს შორის სამწუხაროდ, ბევრი დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელი და სტუდენტია,  მათ შორის აფილირებული პროფესორი, მოწვეული პედაგოგი, დოქტორანტი ან მედიკოსი სტუდენტი. ამასთან, მსგავს პრობლემას წარმოადგენენ თაღლითური სქემებით მოქმედი არარსებული გამომცემლობები და მათი „ჟურნალები“, რომლებიც ფინანსური ინტერესების სანაცვლოდ ამ თვალსაზრისით გამოუცდელ მეცნიერებს სთავაზობენ, ნებისმიერი ხარისხის და შინაარსის ნაშრომების გამოქვეყნებას. სამწუხაროდ გვაქვს კონკრეტული მაგალითები როდესაც დტსუ-ს პროფესორები და დოქტორანტები ასეთი სქემების მსხვერპლნი ხდებიან. ამის გათვალისწინებით მივიღე გადაწყვეტილება შემდეგი მოკლე საინფორმაციო დოკუმენტის შექმნის შესახებ, რომლის მიზანია დაეხმაროს დტსუ-ის აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს გაარჩიონ „კარგი“ „ცუდისგან“. იმედი მაქვს ეს გზამკვლევი დაიცავს დაინტერესებულ პირებს ისედაც შეზღუდული დროის, მატერიალური და სხვა რესურსების არამიზნობრივად და უსარგებლოდ ხარჯვისგან, ასევე დაიცავს მათი პროფესიულ რეპუტაციას. და როგორც ვიცით აკადემიურ საზოგადოებაში რეპუტაცია, შეიძლება ითქვას, წარმატების მთავარი ფაქტორია.

**ე.წ. “Predatory” ან „მტაცებელი“ ჟურნალების და კონფერენციების თაღლითური სქემების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები**

„მტაცებელი“ ჟურნალებისა და კონფერენციების არსებობის ერთადერთი მიზანია არაკეთილსინდისიერად ფინანსური მოგების მოპოვება. ეს მკვეთრად განსხვავდება სამეცნიერო კონფერენციების და ჟურნალების ნამდვილი მიზნისგან: ცოდნის განვითარება, ნაშრომების კრიტიკული შეფასება, უკუკავშირი, ახალი სამეცნიერო და კვლევითი აღმოჩენების და შედეგების გაზიარება, მეცნიერების ზოგადი განვითარება.

ასეთი საეჭვო გამომცემლობებისგან და ღონისძებების ორგანიზატორებისგან ხშირად მიიღებთ წერილებს რომელთა მეშვეობითაც ისინი მოგმართავენ როგორც „უმაღლესი რანგის მეცნიერს“, „უმნიშვნელოვანესი კვლევის ავტორს“, „ექსპერტს“ და ა.შ. და გთავაზობენ ჟურნალში უმოკლეს დროში ნაშრომის დაბეჭდვას ან რომელიმე საეჭვო კონფერენციაზე პრეზენტაციის გაკეთებას, ხშირად “keynote” მომხსენებლის რანგში. დამეთანხმებით რომ ეს ბევრისთვის მიმზიდველად შეიძლება გამოიყურებოდეს და ბევრ მკითხველს ექნება ასეთი გამოცდილება, როდესაც ეპატიჟებიან კონფერენციაზე სესიის წამყვანის რანგში ან სპიკერად, თანაც ხშირად ეს „კონფერენციები“ ტარდება პარიზში, ბარსელონაში, რომში ან თუნდაც კანადა ან ავსტრალიაში - ანუ იქ სადაც ბევრს აქვს წასვლის სურვილი. ასეთი წერილები თავისთავად საეჭვოა, მაგრამ ამ ეჭვებს დამატებით აღრმავებს საკუთარი კონფერენციების ზედმეტი დიდება და პრესტიჟულობის გამოგონება, ადრესატის დიდება და იმის მტკიცება თუ როგორი ძლიერი, მსოფლიო დონის მეცნიერი და სპეციალისტია, როგორი კარგი ნაშრომების ავტორია (რაც მკითხველის ეგოს სიამოვნებს). ასეთ წერილებს ახასიათებს გრამატიკული შეცდომები და ავტორები ხშირად იყენებენ ცნობილი გამომცემლობების მსგავს ლოგოებს.

> “Predatory journals and publishers are entities that prioritize self-interest at the expense of scholarship and are characterized by false or misleading information, deviation from best editorial and publication practices, a lack of transparency, and/or the use of aggressive and indiscriminate solicitation practices.”
>
> *Grudniewicz et al., 2019*
>
> *Predatory journals: no definition, no defence. Nature. 2019 Dec;576(7786):210-212. doi: 10.1038/d41586-019-03759-y. PMID: 31827288.*

Dear Dr. **Ilia Nadareishvili**, Hope you are doing well.

I was just wondering if you received the email sent few days back regarding your Upcoming/On-going/recent submission as we referred to **Georgia's healthcare system and integration of complementary medicine.....**

**Internal Medicine Research – Open Journal** has received good responses from authors with a contribution of 4 manuscripts for the Issue 03, Volume 2021; we just require one more article to finalize the issue. If you would contribute a short article of 1 or 2 pages such as short commentary (or) any kind of article, so that we can release the issue.

Can you let me know when you'll be able to look at it for me? I would be happy to give a quick review and answer any questions if you have given any additional thought to my proposal.

**NOTE:** If you are done with your work please attach the work in a Word document to this mail.

I really appreciate you finding some time to answer my email.

With gratitude and good health
***Ethan DAVID [Team Internal Med Res Open J]***
***supporting Chief Editor***
***Giuseppe Murdaca, Ph.D.***
***Department of Internal Medicine***

სურათი 1. მტაცებელი ჟურნალიდან მიღებული წერილის მაგალითი

**Pain and Relief- ISSN: 2766-2276**
Journal Impacts: Articles Indexed in High Impact University Libraries, Social Media Promotions, DOI & Impact Factor, Fee Discounts, Participation Certificates (Download Directly), Rapid Review with ISSN

**Hello Dr. Nadareishvili I,**

It would be grateful, if you could give an excellent opportunity for us to publish your valuable research work in our journal.

Our aim is to gather all types of articles in order to strengthen the quality of our journal.

With the same spirit, we would like to expect an updated research from you. Kindly submit your research work through online or you may submit via email submitjbres{@}gmail{.}com

We feel very glad, if you could join as an **Editorial board Member**, we would like to thank you in advance for your scientific contribution to our journal. We're excited to move forward with your submission.

Anticipating a positive response from your side.

Professionally,
Daisy Mason/Assistant Editor
Email: submitjbres[at]gmail[dot]com
Journal of Biomedical Research & Environmental Sciences (Multidisciplinary), USA

სურათი 1. მტაცებელი ჟურნალიდან მიღებული წერილის მაგალითი

„მტაცებელი ჟურნალები“

„მტაცებელი“ ჟურნალები როგორც ცნება, შემოღებული იყო რამოდენიმე წლის წინ. ამ მიმართულებით ჩატარდა ბევრი კვლევა და დაიწერა ბევრი ნაშრომი. ასევე შეიქმნა ასეთი ჟურნალების ამსახველი, განახლებადი ბაზები. ყველაზე ცნობილი ასეთი ბაზა - ე.წ. Beall's list - ია (www.beallslist.net/), რომელიც შეიცავს, როგორც ინდივიდუალური ჟურნალების სიას, ასევე გამომცემლობების სიას. თითოეული ასეთი გამომცემლობა ზოგჯერ ათასობით სხვადასხვა „ჟურნალს“ უშვებს. თუმცა, არც Beall's list და არც ბევრი სხვა სია არ არის სრულყოფილი. ამიტომ მნიშვნელოვანია შევძლოთ „მტაცებელი“ ჟურნალების ნამდვილი, აკადემიურ ჟურნალებისგან გარჩევა. ასეთ ჟურნალებს კი ახასიათებთ შემდეგი ნიშნები:

1. აგზავნიან ბევრ spam წერილებს
2. მმართველობაში არ ჰყავთ რაიმე აღიარებული სამეცნიერო, აკადემიური ან პროფესიული ასოციაცია, საზოგადოება. ზოგი ამის შესახებ იტყუება.
3. ხშირად იტყუებიან იმასაც, რომ აქვთ მაღალი ციტირების ინდექსი, იმპაქტ ფაქტორი ან სხვა ჟურნალის ინდიკატორი ასევე იყენებენ ყალბ ასეთ ინდიკატორებს მაგ: Global Impact Factor (GIF), Citefactor, Universal Impact Factor (UIF).
4. მთავარი რედაქტორად ასახელებენ პირს, რომელიც ასევე ბევრი სხვა ჟურნალის რედაქტორია (მათ შორის სხვადასხვა დისციპლინაში), ან საერთოად არ არსებული პიროვნებაა. ხანდახან ეს ხალხი ნამდვილი ცნობილი მეცნიერები არიან, ვინც არც კი იცის, რომ სადღაც რედაქტორად არიან ჩაწერილები.
5. იტყუებიან იმის შესახებ, რომ იდექსირებულები არიან სხვადასხვა ბაზებში, მაგ. PUBMED ან სკოპუს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ამ ბაზაში საკმაოდ ბევრი (რამოდენიმე ასეული) ჟურნალი, სინამდვილეში „მტაცებელი“ ჟურნალია. ეს არის ამ ბაზების ერთ-ერთი ძირითადი სისუსტე.
6. ამტკიცებენ, რომ არიან „ინდექსირებულნი“ ასეთ სოციალურ ქცელებში მაგ. ResearchGate, რაც მოკლებულია აზრს.
7. პირდებიან სტატიის მოკლე დროში დაბეჭდვას.
8. პირდებიან რომ peer-review და სხვა პროცესები მარტივი იქნება.
9. აქვთ რეალურად არსებულ ჟურნალებთან მსგავსი სახელები.
10. ჟურნალის სახელი ხშირად შეიცავს ისეთ სიტყვებს როგორიცაა: “International”, “World”, “Global” ან “Universal“.
11. ამტკიცებენ, რომ აქვთ ოფისი რომელიმე ისეთ ქალაქში, როგორიცაა: ლონდონი, ბერლინი, ვაშინგტონი, ნიუ იორკი, ტოკიო, სინგაპური და ა.შ. თუმცა ზუსტი მისამართი ხშირად არ არის მოცემული ან მოცემულია ცრუ ინფორმაცია.
12. საიტებიდან ძალიან ძნელია გარკვევა ვინ არის ამ ჟურნალის მენეჯერი.
13. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები ხშირად კატასტროფულად დაბალი სამეცნიერო ხარისხისაა.

ფილიალი ეროვნული ბიბლიოთეკა

14. გამომცემლობა უშვებს ძალიან ბევრ ჟურნალს, ხშირად მსგავსი სახელებით, და ამ ჟურნალების გამოცემა დაიწყო დაახლოებით ერთდროულად.
15. ჟურნალის სახელი იყენებს ქვეყნების სახელებს (მაგ. British Journal of …, American Journal of…, English Journal of…, და ა.შ.) და ამავე დროს ჟურნალის რედაქციის წევრები უმეტესად სულ სხვა კონტინენტის ქვეყნებიდან არიან, უმეტესად ახლო-აღმოსავლეთის და სამხრეთ აზიის ქვეყნებიდან.
16. ჟურნალის საიტი შეიცავს რეკლამას, რომელიც ხშირად არ არის არანაირ კავშირში მეცნიერებასთან ან გამომცებლობასთან.
17. ჟურნალებიდან მიღებულ წერილებში ხშირად მოცემულია საპირისპირო თხოვნები/მოთხოვნები/ინფორმაცია.

ბუნებრივია ეს არ ნიშნავს რომ ჟურნალი რომელსაც აქვს ოფისი ლონდონში და სათაურში აქვს სიტყვა "International" აუცილებლად „მტაცებელია". ამ ფაქტორების გადამოწმება აუცილებელია და თუ არის მსგავსება, ჯობია მოერიდოთ იქ გამოქვეყნებას.

სურათი 3. ყალბი „Impact Factor"-ების და სხვა ჟურნალების შემფასებებლები და რეიტინგები

სურათი 4. რამოდენიმე „მტაცებელი“ გამომცემლობების ლოგო

**სასარგებლო რესურსები:**

- https://beallslist.weebly.com/
- https://beallslist.net/
- https://thinkchecksubmit.org/
- https://predatoryjournals.com/journals/
- https://www.professeur-alexandre-georges.info/dolos-list
- https://predatoryjournals.com/publishers/
- Possible Predatory Scholarly Open Access Journals https://guides.library.yale.edu/c.php?g=296124&p=1973764
- Macháček, V., Srholec, M. Predatory publishing in Scopus: evidence on cross-country differences. Scientometrics 126, 1897–1921 (2021). https://doi.org/10.1007/s11192-020-03852-4
- Cukier S, Lalu M, Bryson GL, et alDefining predatory journals and responding to the threat they pose: a modified Delphi consensus process BMJ Open 2020;10:e035561. Doi: 10.1136/bmjopen-2019-035561
- Grudniewicz A, et al, Predatory journals: no definition, no defence. Nature. 2019 Dec;576(7786):210-212. doi: 10.1038/d41586-019-03759-y. PMID: 31827288.
- Cobey KD, Lalu MM, Skidmore B, Ahmadzai N, Grudniewicz A, Moher D. What is a predatory journal? A scoping review. F1000Res. 2018 Jul 4;7:1001. doi: 10.12688/f1000research.15256.2. PMID: 30135732; PMCID: PMC6092896.

დავით აღმაშენებლის ხელოვნების უნივერსიტეტი

# საეჭვო კონფერენციები

„მტაცებელი“ ჟურნალების საკვანძო დამახასიათებელ ნიშნების მსგავსად, აქ ჩამოთვლილია საეჭვო, თაღლითური და არაკეთილსინდისიერი მიზნებით შექმნილი კონფერენციების ნიშნები:

1. ღონისძიების ორგანიზატორი, რომელიმე ბიზნეს კომპანიაა, და არა აკადემიური, სამეცნიერო საზოგადოება, უნივერსიტეტი ან ასოციაცია.
2. კონფერენცია აერთიანებს ბევრ სხვადასხვა დისციპლინას და თემას ერთ ღონისძებაში. ასევე, ხშირად, ერთსა და იმავე ადგილას, ერთი ორგანიზატორის მიერ არის გამოცხადებული რამოდენიმე სხვადასხვა კონფერენცია. ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ნიშანია, რომ თქვენ თაღლითური სქემის მსხვერპლი შეიძლება გახდეთ.
3. თქვენ იღებთ Spam წერილებს დაპატიჟებებით და იმაზე საუბრით თუ როგორი პატივი იქნება თქვენი მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძებაში.
4. ორგანიზატორები გამოიყენებენ არაინსტიტუციურ მისამართებს, მაგალითად gmail-ს.
5. ორგანიზატორი კომპანია არის წელიწადში ათასობით კონფერენციის ორგანიზატორი, სხვადასხვა დისციპლინაში, ქვეყანაში, რეგიონში. მაგალითად კომპანია Waset არის წელიწადში 200-ზე მეტი ღონისძიების ორგანიზატორი, თითოებულ ღონისძიებაზე კი ტარდება საშუალოდ 300-ზე მეტი კონფერენცია, ანუ კომპანია წელიწადში „ატარებს“ 300 000-ზე მეტ კონფერენციას.
6. ინფორმაცია ორგანიზატორებზე გაურკვეველია ან ჩამოთვლილი ხალხი უცნობია.
7. აბსტრაქტების მიღებაზე პასუხი დაპირებულია უმოკლეს დროში - რამოდენიმე დღეში ან 4-5 კვირაში.
8. კონფერენცია ტარდება რომელიმე ტურისტულად პოპულარულ ადგილას, და ასევე ეს პოპულაზირდება სარეკლამო წერილებში და შესაბამის საიტებზე, ხანდახან უფრო მეტი ყურადღება ექცევა ადგილს და არა სამეცნიერო შინაარსს.
9. ხშირად კონფერენციის სახელი მსგავსია რომელიმე რეალურად არსებული და აღიარებული რეგულარული ღონისძიების.
10. ორგანიზატორი იძლევა გარანტიას, რომ თქვენი ნაშრომი დაიბეჭდება რომელიმე ჟურნალში. ხშირად ამისთვის ითხოვენ დამატებით თანხას.
11. საიტი არ შეიცავს სანდო და დეტალურ ინფორმაციას. ტექსტებში არის გრამატიკული შეცდომები.
12. კონფერენციების გადასახადები საკმაოდ მაღალია.
13. ჟურნალებზე მაგალითის მსგავსად, კონფერენციების სახელები ხშირად შეიცავს ისეთ სიტყვებს როგორიცაა “International”, “World”, “Global”ან “Universal“.

და ისევ, ბუნებრივია რომელიმე ამ ნიშნის მქონე კონფერენცია ავტომატურად არ უნდა ჩავთვალოთ „მტაცებლად“. სჯობს ფაქტორების კომბინაციების გადამოწმება და ანალიზი.

ასეთ კონფერენციებზე ნამყოფი ხალხი ხშირად ყვება, რომ ღონისძიება „ჩაიშალა“ ბოლო მომენტში, როდესაც ისინი უკვე მივიდნენ ჩატარების ადგილას. ან კონფერენცია ნამდვილად ტარდება, მაგრამ არაფერი საერთო არ აქვს სამეცნიერო კონფერენციებთან. მაგალითად ერთ და იგივე ოთახში ტარდება რამოდენიმე სხვადასხვა კონფერენცია, და მონაწილეები ჩამოსულები

არიან სხვადასხვა ღონისძიებაზე. შედეგად კი ხვდებიან ერთ ოთახში, სადაც აბსოლუტურად სხვადასხვა სპეციალობის და დისციპლინის ხალხს უწევს ერთმანეთის მოსმენა, ან ოთახის დატოვება. ცნობილია მაგალითები როდესაც ერთსა და იმავე დღეს, იგივე ოთახში რომელიმე სასტუმროში დანიშნული იყო 300-ზე მეტი სხვადასხვა კონფერენცია. შესაბამისად, შესაძლოა თითო მონაწილე სხვა კონფერენციაზე გამოსვლისთვის ან დასასწრებად იყო ჩამოსული. ორგანიზატორები ასევე სარგებლობენ იმით, რომ მონაწილეებს ხშირად სურვილი აქვთ, რომელიმე სხვა ქვეყნის ვიზის მიღების. ზოგი მონაწილე იღებს შემოთავაზებას რომ გახდეს keynote speaker ან წაიყვანოს სესია. საბოლოო ჯამში ბევრი ასეთი „კონფერენციის“ მონაწილე ამ პროცესში მონაწილეობის გამო გრძნობს სინანულს და უხერხულობას, და ბუნებრივია ეს ნამდვილ სამეცნიერო საზოგადოებაში არ ეხმარება მათ კარიერის განვითარების ან რეპუტაციის გაღრმავებაში.

შემდეგი სასარგებლო რესურსი შეიცავს ინფორმაციას „მტაცებელი“ კონფერენციების და მათი „ორგანიზატორების“ შესახებ: https://libguides.caltech.edu/c.php?g=512665&p=3503029

სურათი 5. რამოდენიმე აქტიური „მტაცებელი“ კონფერენციების ორგანიზატორის ლოგო




სურათი 6. კომპანია Waset 2021 წელს დაანონსებული აქვს ათასობით კონფერენცია მედიცინაში და ჯანდაცვით მეცნიერებებში

# Conference Evaluation Tool[1]

Read through the items in the checklist below while reviewing the email and conference website in question. Mark "Yes" or "No" as appropriate. At the end of the checklist, count the number of "Yes" and "No" responses.

| Checklist | Yes | No |
|---|---|---|
| Is the conference sponsored by a reputable association (SCC, MLA, ANA, AMA, AAMC, AACN, etc.)? | | |
| Is the sponsor involved in any scholarly activity other than facilitating conferences? | | |
| Do you know anyone who has attended or presented at the conference? | | |
| If you speak or present, are the conference fees waived? | | |
| Can you easily identify the venue? | | |
| Is this a long-running, established conference? | | |
| Are the registration and other fees clearly outlined? | | |
| Are you familiar with previous proceedings for that specific conference? | | |
| Is the conference itinerary clear and easily accessible? | | |
| Can you identify any of the speakers from previous conferences as experts in your field? | | |
| Is the conference location in context with the content and/or sponsor? | | |
| Is the subject matter related to your field of expertise? | | |
| Is the subject matter of the conference focused and specific to a field, type of study, etc.? | | |
| **Total:** | | |

If there are more entries in the "No" column, it is likely that the conference in question is predatory

სასარგებლო ინფორმაციის წყაროები:

- Pecorari, D. Predatory Conferences: What Are the Signs?. J Acad Ethics (2021). https://doi.org/10.1007/s10805-021-09406-4
- What to Do About Fake and Predatory Conferences https://www.pcma.org/fake-predatory-conferences/
- 9 Signs a conference is fake https://www.exordo.com/blog/9-signs-this-is-a-fake-conference/

[1] Emme Lopez & Christine S. Gaspard. (2020). Predatory publishing and the academic librarian: Developing tools to make decisions. Medical Reference Services Quarterly, 39(1), 1-14, https://doi.org/10.1080/02763869.2020.1693205

„მტაცებელი“ ჟურნალების და კონფერეციების მსხვერპლის შესახებ

პირველ რიგში უნდა ვაღიაროთ, რომ ის ვინც პუბლიკაციებს აქვეყნებს ან მონაწილეობას იღებს ასეთი არაკეთილსინდისიერი ფორმატის ჟურნალებში და კონფერენციებში, არ არის აუცილებლად მსხვერპლი. ბევრი ამას აკეთებს მიზანმიმართულად და გაცნობიერებულად. ეს „პარტნიორობა“ აღწერილია როგორც „სიმბიოზი“: გარკვეული ინდივიდები სარგებლობენ ასეთი შემოთავაზებებით და შესაბამისად გარკვეულ ინფორმირებულ წრეებში ან ასევე არაინფორმირებული დამსაქმებლის თვალში ქმნიან გამოცდილი და აქტიური მეცნიერის იმიჯს. გარკვეული სუსტი სამეცნიერო კულტურის მქონე საზოგადოებებში, აღნიშნულ პირებს არ აქვთ არც რაიმე რეპუტაციული ან პროფესიული განვითარების ზიანის შეგრძნება.

ამ თემის შემსწავლელი ლიტერატურიდან ირკვევა, რომ „მტაცებელი“ ჟურნალების და კონფერენციების სერვისების მომხმარებელი ზოგადად შეიძლება გაყოფილი იყოს 3 ჯგუფად:

ა) ისინი ვინც არ იციან რაშია საქმე და გულუბრყვილოდ პასუხობენ ასეთ შემოთავაზებებს,
ბ) ისინი ვინც იციან რაშია საქმე მაგრამ არ აქვთ პრობლემა
გ) ცრუმეცნიერები რომლებიც ცდილობენ ლეგიტიმური მკვლევარის იმიჯის შექმნას, სინამდვილეში კი ხშირად ძალიან დაბალი კომპეტენციის მქონე პირები არიან, და აქვთ ძალიან დაბალი ხარისხის „კვლევები“.
პირველ ჯგუფში უმეტესად არიან გამოუცდელი ახალბედა მეცნიერები, ან ისინი ვინც უბრალოდ გულუბრყვილოდ ენდობა სხვადასხვა შემოთავაზებებს, ან თუნდაც სხვა ჯგუფის წარმომადგენელი ხელმძღვანელის რჩევას. ასეთ ხალხს შეიძლება ნამდვილად სჯეროდეს, რომ მათმა კვლევამ გაიარა რეცენზირების (მაგ. peer-review ფორმატში) ან აბსტრაქტების შერჩევის პროცესი. ხდება ისიც, რომ კარგი რეცენზირების პროცესის მქონე ჟურნალიდან უარის მიღების შემდეგ მკვლევარი აბარებს ნაშრომს „მტაცებელ“ ჟურნალში და ამ შეცდომის აღმოჩენის შემდეგ ამ გადაწყვეტილებას ნანობენ ან აქვთ უხერხულობის შეგრძნება.

მეორე ჯგუფის პირები ხშირად აცნობიერებენ ამ მანკიერ პრაქტიკას, მაგრამ მაინც თანხმდებიან ასეთ თანამშრომლობაზე. CV-ში პუბლიკაციების ან საკონფერენციო აბსტრაქტების რაოდენობის გაზრდისთვის და ამით სამსახურეობრივი სარგებლის მიღების მიზნით. ხშირად თანხმდებიან საეჭვო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტებში ან სარედაქციო ჯგუფებში საკუთარი სახელის დამატებაზე რითაც ისევ CV-ს „ამდიდრებენ“.

დროთა განმავლობაში პირველი და ასევე ნაწილობრივად მეორე ჯგუფი ხვდება რომ სტატიის გამოქვეყნება ან კონფერენციაში მონაწილეობა უსარგებლო და შესაძლოა, პირიქით საზიანო იყო მათი კარიერისთვის.

მესამე ჯგუფი კი, ანუ ე.წ. ცრუმეცნიერთა ჯგუფები, გრძნობენ ან გარკვეულ საზოგადოებებში, იღებენ კონკრეტულ სარგებელს, გამოიყენებენ ამ პლატფორმებს თავისი „ექსპერტობის“ დასამტკიცებლად და მცდარი, გაყალბებული ან აბსურდული აღმოჩენების, დასკვნების და რეკომენდაციების გასაზიარებლად. ამით ისინი ხშირად „ასაზრდოებენ“ საკუთარ ეგოს და „რეპუტაციას“. ის კითხვა, იციან თუ არა, რაში მონაწილეობენ, კარგავს აზრს, რადგან ისედაც საკუთარი პრაქტიკა და საქმიანობა აჩენს ბევრ კითხვას მეცნიერების და პროფესიული თვალსაზრისით.

# რას ნიშნავს Open Access და Article Processing Charges

თაღლითური სქემებით მოქმედი ორგანიზაციები, როგორც წესი ამტკიცებენ იმას, რომ მათი „ჟურნალები“ Open Access პრინციპზეა აგებული და შესაბამისად ავტორის ნაშრომი მივა მაქსიმალურად დიდი რაოდენობის მკითხველამდე, მკითხველისთვის აბსოლუტურად უფასოდ. ამაში კი ეს ორგანიზაციები ითხოვენ გადასახადს, რომელსაც ხანდახან პირდაპირ უწოდებენ “გამოქვეყნების გადასახადი” ან ზოგჯერ სარგებლობენ მეცნიერებაში მიღებული ფორმით - Article Processing Charges (APC). ეს არის Open Access-ის როგორც ცნების, მიდგომის და პრინციპის ბოროტად გამოყენება.

სინამდვილეში კი Open Access -ის მთავარი ფილოსოფიური ღირებულება იმაშია, რომ სამეცნიერო აღმოჩენები, შედეგები, დასკვნები, რეკომენდაციები, ცოდნა უნდა იყოს ღიად ხელმისწვდომი ყველასათვის, რადგან კვლევების აბსოლუტური უმრავლესობა ფინანსდება ზუსტადაც საზოგადოების მიერ, გადასახადების, ფონდების და გრანტების ჯაჭვით. Open Access მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა 2012-2013 წლებში. მსოფლიოში შეიქმნა რამოდენიმე საინიციატივო ჯგუფი რომლებმაც ადვოკატირების და მონიტორინგის გზით მიაღწიეს ამ კონცეფციის აღიარებას. დღესდღეობით ათასობით ჟურნალი, მათ შორის მაღალი რეპუტაციის, წამყვანი გამომცემლობის, ხშირად მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე, ავტორებს სთავაზობს Open Access წესით სტატიის გამოქვეყნებას, რაშიც როგორც წესი ავტორი, კვლევითი პროექტის დამფინანსებელი ან ავტორის დამსაქმებელი იხდის Article Processing Charges. ეს გადასახადი ხშირად მერყეობს 1500-3000 ამერიკული დოლარის ფარგლებში. Open Access ფორმატში მოქმედი ბევრი მაღალი აკადემიური ხარისხის მქონე ჟურნალების გარდა, დღეს ასევე ხშირია ჰიბრიდული ვარიანტი, სადაც ავტორს აქვს არჩევანი გადაიხადოს თუ არა APC, რაც დამოკიდებული შეიძლება იყოს საჭიროებაზე, შესაძლებლობაზე, დამფინანსებელის მოთხოვნაზე და ა.შ. Open Access-ის პრინციპით სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ავტორი ინარჩუნებს საავტორო უფლებებს და შეუძლია საკუთარი ნაშრომი გაავრცელოს ისე, როგორც ჩათვლის საჭიროდ. ასეთი მიდგომა ასევე ცნობილია როგორც Gold Open Access. ზოგი გამომცემლობა, მაგალითად Elsevier ან Springer ავტორებს სთავაზობს ნაკლებად ძვირიან ვარიანტს - ე.წ. Green Open Access, სადაც არსებობს გარკვეული შეზღუდვები, მაგალითად საავტორო უფლებები რჩება ჟურნალთან და ასევე მოქმედებს ემბარგოს პერიოდი, მაგ. 1 წელი, რომლის გასვლის შემდეგ სტატიას ენიჭება ღია სტატუსი და ავტორს აქვს უფლება ის განათავსოს სხვა რესურსზე, მაგალითად სამუშაო ადგილის ან ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე.

რაც მთავარია, Open Access მთავარი აზრი ხელმისაწვდომობაშია, და დღეს უკვე წამყვანი დამფინანსებლების (მაგ. ევროკავშირის Horizon 2020) სავალდებულო მოთხოვნაა რომ დაფინანსებული პროექტების შედეგები, და ხშირად პროექტების შედეგად მოპოვებული მონაცემები, გამოქვეყნებული/განთავსებული იყოს Open Access და Open Data პრინციპების დაცვით, რათა საზოგადოებამ მიიღოს მაქსმიმალური სარგებელი იმ რესურსების სანაცვლოდ რომლებსაც დამფინანსებელი სააგენტოები ხარჯავენ კვლევებში. Open Access არ წარმოადგენს ბიზნეს მოდელს. ნაშრომები გადიან დეტალურ, სკურპულოზურ შემოწმებას peer-review პროცესის მეშვეობით, და Open Access-ის პრიცნიპით გამოქვეყნება არის მხოლოდ დამატებითი ქმედება, სარგებელი როგორც მეცნიერებისთვის ასევე საზოგადოებისთვის.

შესაბამისად აუცილებელია გავარჩიოთ თუ რაში ვიხდით ფულს: იმაში რომ ჩვენი ნაშრომი ხელმისაწვდომი გახდეს თუ იმაში რომ ის უბრალოდ „დაიბეჭდოს“.

ონლაინ რესურსი DOAJ (Directory of Open Access Journals) შეიცავს მაღალი აკადემიური ხარისხის და პასუხისგებლობის ჟურნალების ჩამონათვალს და გირჩევთ მის გადახედვას. www.doaj.org

ასევე, ერთადერთი [ნამდვილი] Impact Factor-ის მინიჭებელი ორგანიზაციაა - Clarivate Analytics (Web of Sience Group), რომელიც ყოველ წლიურად აქვეყნებს “Journal Citation Report”-ს, რომელიც არის ერთადერთი Impact Factor-ის ლეგიტიმური სია.

სია არ არის საჯარო, თუმცა მისი მოპოვება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: https://clarivate.com/webofsciencegroup/solutions/journal-citation-reports/ . ასევე შეგიძლიათ ჟურნალის გადამოცმება დტსუ-ს სამეცნიერო კვლევით დეპარტამენტში.

**რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს „მტაცებელ“ ჟურნალებში ბეჭდვას და საეჭვო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებას თქვენს კარიერაზე?**

პირველ რიგში ეს დამოკიდებულია იმ საზოგადოებაზე, რომელშიც თქვენ გიწევთ მოღვაწეობა, ასევე თქვენს დამსაქმებელზე. პლაგიარიზმისგან განსხვავებით ამ შემთხვევებში პირდაპირი სანქციები იშვიათია. სანქციებს არც დტსუ-ს რომელიმე რეგულაცია ითვალისწინებს. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით აკადემიაში რეპუტაციას აქვს ცენტრალური, საკვანძო, პოზიცია. შესაბამისად ასეთი ქმედებებით თქვენ არა მარტო საკუთარ რეპუტაციას აზიანებთ, არამედ დტსუ-სთან აფილირების შემთხვევაში, ზიანდება ასევე უნივერსიტეტის რეპუტაცია. მნიშნელოვანია რომ ეს საკითხები კარგად იყოს გააზრებული ყველა თანამშრომლის და სტუდენტის მიერ, და ალბათ პირველ რიგში სამეცნიერო ხელძღვანელების მიერ. ჩვენ ვურჩევთ ყველა თანამშრომელს და სტუდენტს სამომავლოდ მოერიდოს ასეთ შეცდომებს. დტსუ-ს ადამიანური რესურსების დეპარტამენტი სამომავლოდ სკურპულოზურად შეისწავლის მსგავსი გადაწყვეტილებების ისტორიას პერსონალის CV-ს მიხედვით. ასევე ამ საკითხების მიმართებით შესწავლილი იქნება ყველა უნივერსიტეტის მიმართ დაფინანსების თხოვნა. დამატებითი კონსულტაციებისთვის, და თავის დაზღვევისთვის კი, კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ ან სტატიის ჟურნალში გაგზავნის წინ გირჩევთ დაუკავშირდეთ სამეცნიერო კვლევით სამსახურს
(email: i.nadareishvili@dtmu.edu.ge ).

დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი